სამშაბათი, 30 ოქტომბ. 1907 წ.

# ისარი

წელიწადი პირველი—№ 238

გაზეთი «ისარი» ერთის წლით ღირს ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით ტფილისში—75 კაპ. ტფილისს გარედ—80 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ, სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 5 საათამდე ღირს 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს ... მხოლოდ დიდი წერილები და ... წერილობით პასუხისათვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად ლაპარაკი შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

ქართული წარმოდგენა სახაზინო თეატრში.

ოთხშაბათს, 31 ოქტომბერს, 1907 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

✦✦ ნინა დავითაშვილის მონაწილეობით ✦✦

პირველად ახალი პიესა

ცოდვათა გამოსყიდვა

პიესა 4 მოქმ. პოტაპენკოსი, თარგ. შალიკაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. დავითაშვილისა, ა. კარგარეთელი, ო. ლეჟავა, ბ. ნებიერიძისა, ე. ჩერქეზიშვილისა, ბ-ნნი ვ. აბაშიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ა. იმედაშვილი, ი. ქივიძე, კ. შათირიშვილი.

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად „შიო თავადი“, „ექიმთან“, „მეფე“ და სხვა.

მორიგი წევრი გამგ. დ. ნახუცრიშვილი. რეჟისორი ვ. გუნია.

მოკლე ხანში გამოვა № 1 სამეცნიერო-სალიტერატურო და პედაგოგიურ ჟურნალისა, სახელწოდებით

„განათლება“

ჟურნალში დაიბეჭდება შემდეგი შინაარსის წერილები:

მთავრობის განკარგულებანი; სტატიები, შენიშვნები და რეფერატები სწავლა-განათლების შესახებ, როგორც სკოლაში, ისე სკოლის გარეშე; ორიგინალური და ნათარგმნი სტატიები სამეცნიერო პოპულიარულ ხასიათისა პედაგოგიიდან, ფსიხოლოგიიდან, სასკოლო ჰიგიენიდან, სანიტარიიდან, ბუნების-მეტყველებიდან და საზოგადო მეცნიერებიდან; სამეცნიერო პოპულიარული ლექსები სურათებით სახალხო კითხვებისა და სახალხო უნივერსიტეტებისათვის; სამაგალითო გაკვეთილები დასაწყის და საშუალო სკოლების სასწავლო საგნებიდან; პროგრამების შემუშავება ყველა ტიპის სკოლებისათვის. პედაგოგიურ იდეების განვითარება საქართველოში, რუსეთში და საზღვარ-გარედ; მნიშვნელობა მასწავლებელთა კავშირისა საზოგადოდ და განხილვა არსებულ კავშირებისა და მასწავლებელთა საზოგადოების წესდებებისა; სახალხო თეატრი და ბიბლიოთეკები; გამოცემა და გავრცელება სახალხო წიგნებისა; შინაურ და უცხოეთის ქრონიკა; სიტყვა-კაზმული მწერლობა: მოთხრობები, ლექსები, ბიოგრაფიები; პუბლიცისტიკა, კორესპონდენციები, ბეჭდვითი სიტყვის მიმოხილვა, სამეცნიერო მიმოხილვა; კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, განცხადება.

ხელის მომწერთათვის წლიური ფასი 5 მანეთი, ნახევარის წლით 3 მან., სამის თვით 1 მ. 60 კ., საზღვარ-გარედ 7 მანეთი.

წერილების ადრესი: ქართულ გიმნაზია, ან ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება

(5—1) რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.

გ ა ი ხ ს ნ ა

დურგალთა პროფესიონალური ბიურო

გუბერნატორის მიერ ნება დართული, ბიურო იღებს სადურგლო საქმეებს ხელმისაწვდომ ფასებში ნარდად, ნაჭრობით, და დღიურად. დღიურ მუშის ფასი გაყოფილია ოთხ კატეგორიად. ბიურო უდებს თავდებად ყველა თავის წევრს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამუშაო მიღებულია ბიუროს შუამდგომლობით.

ბიუროს ადრესი; მესამე საპოლიციო ნაწილი, რუსისა და ვანქის ქუჩების კუთხე, სახლი სომხურ სემინარიისა ზემო სართული. ბიურო ღიაა მუდამ დღე დილის 7 საათიდან შუადღის 3 საათამდე. (0—382—2)

ელექტრონის და რენტგენის სამკურნალო კაბინეთი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (0—5.—31)

ექიმი ქალი

ს. ზ. მირზოევისა

მიიღებს თვალებით ავათმყოფებს ყოველ-დღე გარდა შაბათობით $1^1/_2$—$2^1/_2$ სოლოლაკის ქუჩა № 6. (25—364—12)

ე ქ ი მ ი

მ. ვ ა შ ა კ ი ძ ე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

დოქტორი მედიცინისა

გ. გ. გურგენოვი

ყოფილი საშტატო ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის საქალო ავადმყოფობისა და ბებიაობის კლინიკისა გადმოვიდა გოლოვინის პროსპ., № 12 საარტისტო სახ. თეატრის პირდაპირ. ავად მყოფების მიღება 12—2 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. (25—355—15)

ყურის, ცხვირის და ყელის ექიმი

ნ. ა. ატენიანცი

იღებს ყოველდღე ავადმყოფებს- შუადღის 12—2 ს., საღამოთი 5—7 საათამდე, მიხაილოვის ქუჩა № 114 „ვეტცელის“ სასტუ როს პირდაპირ. (50—385—4)

თვალის ექიმი

ზ. მ. ცხვედაძე

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 6—7 ს. ვერა ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (30—345—02)

ქ. ქუთაისში

ექიმი ი. ი. ჩარექოვი

იღებს განსაკუთრებით ვენერიულ, ნივთიერების და კანით ავადმყოფებს. სწამლობს მუწუკებს, ძირმაგრებს, ბუბონებს და სხ. უოპერაციოდ პროფ. ზიერის მეტოდი. 12—2 საათამდის. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლში. (27—ფ.—22)

ქუთაისში

კბილის ექიმი ქალი

ე. დ. ნასარიძე

იღებს ავათმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (346)

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე, ვერა ოლგას ქუჩა, № 25- (0—211)

კბილის ექიმი

ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (64)

ე ქ ი მ ი

ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს

იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათმდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ე ქ ი მ ი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—$11^1/_2$. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

ე ქ ი მ ი

ივ. გომართელი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 საათამდე, საღამოთი 5—7 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 33. (25—392—3)

იმერეთის საეპარქიო საქალებო გაბრიელის სასწავლებლის საბჭო აცხადებს, რომ მთავრობის ნებართვით მიმდინარე წლის გიორგობისთვიდან იხსნება ამ სასწავლებელში მეშვიდე კლასი და მსურველთ შეუძლიან თხოვნით მიმართონ სასწავლებლის საბჭოს. კლასში მიიღებიან გამოუცდელად მხოლოდ ის ყოფილი მოწაფენი, რომელთაც კურსი დაუმთავრებიათ ამ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში, დანარჩენები გამოცდით. თხოვნასთან უნდა იქნეს წარმოდგენილი კურსის შესრულების ატესტატი და მეტრიკული მოწმობა. (3—კვ.—3)

ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

რუდენკო—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 ს.

რიჟელი—კანისა, ვენ., სიფილ. ყოველ დღე $1^1/_2$—3 საათ.

იანჩევსკი—ყურისა, ყელ. და ცხვირ. ყოველ დღე 2—3 საათამდე.

ერმოლინსკი—ბავშ. შინ. ყოველ დღე 1—12 ს.

პავლოვსკი—ქირურგ. ყოველ დღე 1—12 ს.

ასპინთვა—ყურისა, ყელ., ცხვ. ყოველ დღე $12^1/_2$—$1^1/_2$ ს. სამშაბ. და პარასკ. გარდა.

ოსტროგრადსკა—ქალ. ავად., ორშაბ., ოთხშ. პარასკ. კვირა 1—2 ს.

ბოგოსოვსკი—შინაგ. ყოველ დღე $11^1/_2$—1 ს.

გორბაჩევიჩი—შინაგ. ყოველ დღე $11^1/_2$—$1^1/_2$ საათ.

ინაევი—ქალთა ავად. დროებით წავიდა.

ჩუდნოვსკი—ნერვ., სულით, ელექტრ. ყოველ დღე 4—5 ს.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველ დღე 2—3 ს.

ნოვიცკი—ქალ., ბავშ. ყოველ 1—2 ს.

ნევშტრთვა—კბილისა, ყოველ დღე 10—12 და 3—5 ს.

კორონცოვისა—მასსაჟი. ყოველ დ. 12—1 ს.

ბოვარსკი — ჩუდნოვსკი— | კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთ გასინჯვა შეთანხმებით. (100—5.—51)

„ტფილისის სობრანიე“.

„ტფილისის სობრანიეს“ მამასახლისთა საბჭო აცნობებს ბ-ნ წევრებს და კანდიდატებს, რომ პარასკევს, 2 ნოემბერს, საღამოს 8 საათისათვის დანიშნულია საზოგადო კრება. კრებამ უნდა განიხილოს საკითხი საზაფხულო სადგომის დაქირავების შესახებ, აგრეთვე რამდენიმე სხვა საკითხი. (2—393—2)

დაიბეჭდა და გამოვიდა

✦ გასასყიდად ✦

გამოცემა წერა-კითხვის საზოგადოებისა

ილია ჭავჭავაძის სახალხო ბიბლიოთეკა.

№ 1. „რჩეული ლექსები“, ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით. ფასი 7 კ.

№ 2. „კაცო ყაჩაღი“, ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით. . . 5 კაპ.

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა „განდეგილი“ და „დედა და შვილი“. (3—3)

## ტფილისი, 30 ოქტომბერი.

გვახსოვს, რომ ილია ჭავჭავაძის ხანგრძლივის სალიტერატურო და საზოგადო მოღვაწეობის აღსანიშნავად იმის თაყვანის მცემლებს, ჯერ ისევ მგოსნის სიცოცხლის დროს, სადღესასწაულო იუბილეის გამართვა უნდოდათ. მაშინ მგოსანი გადაჭრით წინააღუდგა ასეთ განზრახვას და იუბილეი არ გამართულა. რა თქმა უნდა, უიმისოდაც ყველასაგან პატივცემულ და მრავალთაგან სათაყვანებელ მგოსნისთვის სადღესასწაულო იუბილეის თავის თავად მაგრე რიგად დიდი მნიშვნელობა არ ექნებოდა. დიდებულმა მგოსანმა თითონვე ძლიერ კარგად იცოდა თავისი ფასიც, თავის ღირსებაც და თავისი ავტორიტეტიც. იმისთვის საჭირო არ იყო საგანგებოდ ამ შემთხვევისთვის შეგროვილ ხალხისაგან დიდების და ტაშის კვრის მოსმენა. ეს უბრალო ჭეშმარიტება, რა თქმა უნდა, ესმოდათ იმათაც, ვისაც იუბილეის გამართვა სწადდათ, მაგრამ თუ ამისდა მიუხედავად მაინც აპირებდნენ დღესასწაულის გადახდას, მხოლოდ იმ აზრით, რომ ეს სადღესასწაულო იუბილეი იარაღად გაეხადნათ და იმის საშუალებით დიდებულ პოეტის მაღალ პოეზიისადმი ინტერესი გაეღვიძებინათ ქართველ ხალხის იმ ელემენტებში, რომელნიც უკან იყვნენ ჩამორჩენილი და მას იცნობდნენ. ჩვენი მგოსანი მაინც გადაჭრით წინააღმდეგი იყო დღესასწაულის გადახდაზე.

რატომ და რა მოსაზრებით,—დანამდვილებით ამისი პასუხი არ ვიცით, მაგრამ ის კი ეჭვს გარეშეა, რომ განსვენებულს მგოსანს გაცილებით უკეთ და ღრმად ჰქონია გათვალისწინებული ქართველ ხალხის მოწინავე ინტელიგენციის სულიერი თვისებები, ვიდრე ეს ბევრს ჰგონია. მის გამჭრიახს და დინჯს გონებას ღრმად ჰქონია აწონილი ქართველი ინტელიგენცია, კარგად სცოდნია იმისი სულიერი სიმჩატე და დარწმუნებული ყოფილა, რომ ამ ინტელიგენციის მიერ მოწყობილი სადღესასწაულო იუბილეი არა თუ ვირაფერს ვერ შემატებდა იმის პოეზიის პოპულარიზაციას, პირიქით შეიძლება ევნო კიდეც.

განა გუშინწინდელ „სადღესასწაულო საღამოს“ შემდეგ კიდევ შეიძლება ეჭვი შეგვეპაროს, რომ დიდებულს მგოსანს ქართველ ხალხში ღირსეული მემკვიდრე არა ჰყოლია, რომ იმისი პოეზიის დამფასებელნი და თაყვანისმცემელნი არც ღრმა პატივისცემით ყოფილან გამსჭვალულნი მისდამი და არც საკმაო უნარი ჰქონიათ თავის გრძნობათა სიცხოველით სხვებსაც პატივისცემის გრძნობა აღუნთონ გულში?

რისთვის გვიჭედავდნენ ყურებს მთელი ორი თვის განმავლობაში ამ საღამოს მომწყობნი, თუ იმასაც ვერ მოახერხებდნენ, რომ სადღესასწაულო საღამოზე ბლომად მოგროვილ ხალხისთვის ილიას პოეზიის სიდიადე ეგრძნობინებინათ და იმისი სულის სიმშვენიერე დაენახვებინათ? ნუ თუ ამ საღამოს მომწყობთა თვალში საჭირო იყო მხოლოდ ილიას სადღესასწაულო საღამოს გასამართავად რეკლამა და რეკლამის საშუალებით დიდძალ ხალხის ერთ დარბაზში მოგროვება? ნუ თუ არც გარკვეულ შინაარსის პროგრამის შემუშავება იყო საჭირო საღამოსთვის, არც რეპეტიციების გამართვა, არც მხატვრულ ნაწილის შემზადება და არც არავითარი სხვა მზადება? ნუ თუ მარტო ქ-ნი გაბაშვილისა, ბ-ნნი ლეისტი და ევდოშვილი იცნობდნენ განსვენებულს მგოსანს, ნუ თუ სხვას არავის არავითარი პირადი მოგონება არ შეჰრჩა ამ ჭეშმარიტად დიდ ბუნებოვან კაცის ნაცნობებში? ნუ თუ ორიოდე ლექსის მეტი სხვა ვერაფერი იპოვეს ღირს შესანიშნავ პოეტის ნაწერებში? ნუ თუ ქართველ ინტელიგენციის პატივისცემა ეროვნულ პოეტისადმი მთლად დაილია და დაიშრიტა დაკრძალვაზე? ნუ თუ ორ თვეზე მეტი მანძილი არა ჰქონია ქართველ ინტელიგენციის ეროვნულ ხასიათის აფრთოვანებას და ნუ თუ ერთად ერთი ფორმა, რომელშიაც მას ძალუძს თავისი აფრთოვანება გამოხატოს, სამგლოვიარო პროცესსიაა!

სირცხვილი სადღესასწაულო საღამოს მომწყობთ, სირცხვილი იმ პირთ, ვინც ამ საღამოს მომწყობებს რეკლამა გაუკეთა, გამოაცხადეპია, საღამოს მონაწილენი ესა და ეს პირები იქნებიანო, მაგრამ მონაწილეობა კი არ მიიღო!

ხალხი საღამოს დიდძალი მიაწყდა და ეს ხალხი არ გაპატიებთ თავის გაცრუებას, არ გაპატიებთ, რომ მოატყუეთ იგი სათაყვანებელ მგოსნის სახელით.

### საყურადღებო საკითხი

ამ ცოტა დროში საქართველოს სამივე ეპარქიის სამღვდელოების წარმომადგენელთა კრებას, რომელიც, სინოდის ბრძანების თანახმად, უსათუოდ მოწვეულ იქნება, გადასაწყვეტი აქვს საყურადღებო საკითხი სასულიერო სასწავლებლებსა და სემინარიაში სღვთის-მეტყველო საგნების ქართულს ენაზე სწავლების შესახებ. საჭიროდ ვთვლით ამ საკითხის წარმოშობის ამბავს მოკლედ შევეხოთ.

განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ცხოველმყოფელი სხივებით სასულიერო უწყების სასწავლებელთა კედელთ შორისაც შეაშუქა; მის ძლევა მოსილობას ველარ გაუძლო ხსენებულ სასწავლებელთა ადამიანის ბუნების გამათახსირებელმა სწავლა-აღზრდის უკულმა მავალმა საქმემ. თუ ასეთი იყო სწავლა-აღზრდის საქმე რუსეთის სასწავლებლებში, ერთი ათად გამათახსირებელი იყო იგივე საქმე ჩვენებურს სასულიერო უწყების სასწავლებლებში (იგულისხმება სემინარიაც და საეპ. სასწავლებელიც). ქართველ სამღვდელოების შეგნებული წარმომადგენელნი თავიანთ გულებში არასოდეს არ იყვნენ კმაყოფილნი ამ სასწავლებლებში სწავლა-აღზრდის საქმის მდგომარეობით. მაგრამ ამ უკმაყოფილებას ისინი ბოლო დრომდის ვერ აცხადებდნენ... ვინ არ იცის, რომ ჩვენებურს როგორც საერო, ისე სასულიერო სასწავლებლებში სწავლა-აღზრდის საქმე ადგილობრივს ცხოვრებას მოშორებულია და მათი მოწაფენი ამ ცხოვრების თავისებურობის ცოდნას მოკლებულნი არიან, რის გამო შორს სდგანან მშობლიურს სინამდვილეზე. მათ ზედ-მიწევნით და ზოგთ სრულიადაც არ იციან მშობლიური ენა, რომლის ცხოველ-მყოფელს და გამაკეთილშობილებელს გავლენას ამის გამო მოკლებულნი არიან. განმათავისუფლებელ მოძრაობის ზედ-გავლენით ქართველმა სამღვდელოებამ ხმა სასულიერო სკოლის უკულმართობის წინააღმდეგ და მოითხოვა სწავლა-აღზრდის საქმის გაუმჯობესება.

თუ როგორ მოწყობილი იყო სწავლა-აღზრდის საქმე სასულიერო სკოლაში, ამის შესახებ საქართველოს სხვა და სხვა ადგილს სხვა და სხვანაირი აზრი გამოითქვა. უკანასკნელი აზრი კი შემდეგია. 1906 წლის თიბათვის კრებაზე ქართლ-კახეთის სამღვდელოებამ დაადგინა: დაარსებულ იქმნას განსაკუთრებული კომისია მცოდნე პირთაგან სასულიერო უწყების სასწავლებლის საუკეთესო ტიპის გამოსარკვევად; ისე კი, რომ კომისიამ მიიღოს მხედველობაში სამღვდელოების სურვილი იმის შესახებ, რომ დაბალს და საშუალო სასწავლებლებში სწავლა სწარმოებდეს ქართველთათვის ქართულს ენაზე, ხოლო რუსული ენა ისწავლებოდეს როგორც ერთი საგანთაგანი.

იმ დადგენილებამ, ცოტა არ იყოს, სასულიერო მთავრობა დააფიქრა. დადგენილებას ზედ დაერთო სინოდში ქართველ ავტოკეფალისტების მიერ გამომჟღავნებული სიდუხჭირე სწავლა-აღზრდის საქმისა საექზარხოსოში. ავტოკეფალისტებმა დაამტკიცეს, თუ როგორ იყო აბუჩად აგდებული ქართული ენა ქართულს სკოლებში. ალბად ყოველისავე ამის მეოხებით სინოდმა შეკითხვა გამოუგზავნა ტფილისის სას. სემინარიის გამგეობას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს სწავლა-აღზრდის საქმე საქართველოს სასულიერო სკოლაში. სემინარიის გამგეობამ თავისი მოხსენება გაუგზავნა სინოდს ამის შესახებ ამ წლის მარტის თვეში (იხ. გამგეობის ჟურნალი № 13, 1907 წ.).

ამ მოხსენების პასუხად, სინოდის ბრძანებით ტფილისის სასულიერო სემინარიაში ქართულ საეკლესიო წიგნების კითხვას ნაცვლად შემოღებულ იქმნა ამ წლიდანვე საქართველოს ისტორიის და ქართულ სიტყვიერების სწავლება. ქართველთათვის სავალდებულო აღარაა საეკლესიო სლავიანურის ენის და გალობის შესწავლა. სინოდმა აგრეთვე მოახდინა განკარგულება, რომ ყველა სღვთის მეტყველო საგნები სემინარიის მეხუთე და მეექვსე კლასებში და აგრეთვე სასულიერო სასწავლებელში ამ წლიდანვე ქართულს ენაზე ისწავლებოდეს. მაგრამ ამ ბრძანებას მეორე დღესვე მოჰყვა მეორე ბრძანება იმავე სინოდისა, რომ ჯერ სამღვდელოებას შეეკითხონ და მერე განხორციელდეს ეს მისი გადაწყვეტილება.

როგორც ამბობენ, ეს მეორე ბრძანება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ სემინარიის გამგეობის ქართველი წევრები (სულ ხუთია) სხვა და სხვა აზრისანი იყვნენ ამ საკითხის შესახებ. მოკლე დროში ეს საკითხი გადასაწყვეტად სამღვდელოების კრებას გადაეცემა. ადვილად მოსალოდნელია, რომ სამღვდელოების იმ წევრთ, რომელთაც რუსული სკოლა გაუვლიათ, არც კი მოისურვონ სასულიერო სასწავლებელთა გადაკეთება. ეს გასაკვირველი არ არის, რადგან მონობის და სასტიკ რეჟიმის და აგრეთვე ცუდის სწავლა-აღზრდის მეოხებით ეროვნული გრძნობა სამღვდელოების ზოგიერთს წევრებში მეტად სუსტია. შესაძლოა, წინად სამღვდელოება დროს აჰყვა და სადი დადგენილება მოახდინა სასულიერო სკოლის გადაკეთების შესახებ... დღეს კი, როდესაც რეაქცია ფარფაშობს, შესაძლოა შიშის ქარებმა სხვა ჰანგებზე აამღეროს. ჩვენი გულითადი სურვილი უნდა იყოს, სადაც კი ეს მოსახერხებელია, მთლიანი ეროვნული სასწავლებლები დავაარსოთ... ყველა საგნების მშობლიურს ენაზე სწავლებით. უცილობო ჭეშმარიტებაა, რომ ნაციონალურს სასწავლებელში ახალთაობა ნორმალურად განვითარდება. თვით რუსულს პროგრესიულს პრესსაშიც-კი ხშირად ვხვდებით წერილებს თითოეულ ერისათვის ნაციონალურ სასწავლებელთა აუცილებელ საჭიროების შესახებ. ამ წერილთა შორის შესანიშნავია რუსულ გაზეთის „Жизнь и школа“-ში დაბეჭდილი წერილი: (№ 1) ამ სათაურით: „Націонализація школы“.

„რუსული ენა—ამბობს ამ წერილის ავტორი რუსი:—მთელს სახელმწიფოში მხოლოდ მცხოვრებთა 40%-ს ესმის... ამისდა მიუხედავად აქამდის ბატონობდა ყველგან რუსული სკოლა. ამით სკოლა მეტად სცოდავდა: ის ართმევდა არარუსთა ბავშვებს სამშობლოს, ის უსპობდა მათ მშობლიურს ოჯახსა და ერთან არსებითს კავშირს... ქართველის, პოლონელის და უკრაინელის შვილი, რომელიც რუსულს სკოლას ათავებდა, აღარ იყო ქართველი, პოლონელი, უკრაინელი; მას ვინაობა ეკარგებოდა და ვერა ვითარს სარგებლობას ვერ აძლევდა ვერც თავისს აღმზრდელს ხალხს და ვერც თავისს განმანათლებელს სახელმწიფოს. უცხო, ძალად გაბატონებული სკოლა ვერ იძლეოდა ჭეშმარიტს განათლებას; ის მხოლოდ ამახინჯებდა მოწაფეებს და მეტის-მეტად შეურაცხყოფდა არა რუსთა... ამის გამო ამ ორს უკანასკნელს წლებში ყველა ერებმა, რომელნიც კი გამოფხიზლდნენ, მოითხოვეს ნაციონალური სკოლა... და ეს მოთხოვნა სრულიად კანონიერი და ბუნებრივია პსიხოლოგიურის საბუთების მხრით... სკოლა მსოფლიო ვაჭრობა, სახელმწიფო ბანკი და სახელმწიფო ფოსტა როდია; სკოლა და ხელოვნებანი ყოველთვის ეროვნული უნდა იყოს, რადგან ისინი წამომდინარეობენ ეროვნულ შემოქმედობის სიღრმიდან და შეეფერებიან თითოეულ ერის ინდივიდუალურს მისწრაფებებს... სკოლასა და ხელოვნებაში საჭიროა რაც შეიძლება მეტი თავისუფალი განვითარება... რომ სკოლამ დააკმაყოფილოს თითოეულის ერის განათლების მოთხოვნილებანი, რომ ის ნამდვილი დემოკრატიული იყოს და ყველასთვის ხელმისაწდომი, საჭიროა იმის მოწყობაში მოსპობილ იქმნას ყოველივე ცენტრალიზმი და ძალად თავზე მოხვეული ერთ ფეროვნობა. ამის გამო სკოლის რეფორმის ერთ **ლოზუნგად** უნდა იყოს—მიეცეს თითოეულს ერს რუსეთის სახელმწიფოში ეროვნული სკოლა. თუ იმას იტყვიან, რომ რუსულ ენის საშუალებით მეტს ცოდნას შეიძენენ არა რუსებიო, ჩვენ იმას ვიტყვით, რომ ინგლისურის ენის საშუალებით უფრო გაცილებით მეტს ცოდნას შეიძენენ, მაგრამ ვინ იტყვის, რომ ველიკოროსებს ინგლისურს ენაზე ასწავლიან! არც ერთი ერი არ დაკმაყოფილდება პირველ დაწყებით ეროვნულ სკოლებით. იგი კიდევ შორს წავა და ეცდება მოიპოვოს მთელი ეროვნული სკოლა...“

ჩვენს სულიერ მამებს, რომელნიც ზემოაღნიშნულ საკითხის გადასაწყვეტად შეიკრიბებიან, უპირველეს ყოვლისა მივუთითებთ რუსულ გაზეთის აქავე მოყვანილს მშვენიერს მოსაზრებაზე და შემდეგ არ შეგვიძლია არ გამოვთქვათ სურვილი იმის შესახებ, რომ მათ უსათუოდ განახორციელონ მთელი ეროვნულ სკოლის დაარსების იდეა. სახელდობრ, მოითხოვონ ყველა საგნების მშობლიურს ენაზე სწავლება, გარდა რუსულის ენისა, სიტყვიერებისა და რუსეთის ისტორიისა. ამის განხორციელება სამღვდელოებას ადვილად შეუძლიან, თუ მონურს სილაჩრეს არ გამოიჩენს. საქართველოს ექვსი სასულიერო სასწავლებელი, ორიც საეპარქიო საქალებო საშუალო სასწავლებელი და ერთიც სას. სემინარია მთლად საქართველოს ეკლესიის ხარჯით ინახება. რუსეთის ხაზინა ძლიერ მცირე დახმარებას უწევს. წელიწადში ზემოდ ჩამოთვლილ სასწავლებლებზე სამღვდელოების საშუალებათაგან 250 ათასს მანეთზე მეტი იხარჯება. თითოეულს სასწავლებელს აქვს საკუთარი შენობა და მიწა. მათი ღირებულობა ორ მილიონამდის ადის. ქართული სახელმძღვანელოების შედგენა ძნელი არ არის. საჭიროება იყოს, თორემ სახელმძღვანელო გაჩნდება. რაც შეეხება კურს დამთავრებულთა უფლებას, ესეც ადვილად გადასაწყვეტი საკითხია. რუსულს ენას, რუსულს ისტორიას და სიტყვიერებას მოწაფეები რუსულად ისწავლიან, რუსულ თხზულების წერა ეცოდინებათ და მთავრობის წარმომადგენლის დასწრებით მათ შეეძლებათ ადვილად გამოცდა გადაიხადონ და საჭირო მოწმობა შეიძინონ.

**ნეზთძირელი.**

# ახალი ამბავი

✦ **ახალი საგენერალ-გუბერნატორო.** ნამესტნიკის ბრძანებით, ქუთაისის საგენერალ-გუბერნატოროდან გამოჰყვეს ოზურგეთის და სენაკის მაზრები და ქუთაისის მაზრის სამტრედიის საბოქაულო, ხოლო ბათუმის ოლქიდან კინტრიშის მაზრა და ამათგან შეადგინეს ერთი საგენერალ-გუბერნატორო. გენერალ-გუბერნატორად დანიშნეს გენ.-მაიორი ტოლმაჩოვი.

✦ **სროლა და მკვლელობა.** 28 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, არღუთინსკის ქუჩაზე ვიღაცამ რევოლვერით მოჰკლა გაჯი უგურლიევი. რევოლვერის ხმაზე გაჩნდნენ პოლიციელები, რომელთაც გაქცეულ მკვლელებს უკან მიაყოლეს თოფები. ბოლოს პოლიციამ ფეთხაინის და ხლებნი ქუჩის კუთხეში ორი საეჭვო კაცი დააპატიმრა. როდესაც დაპატიმრებულნი საპოლიციო ნაწილში მიჰყავდათ, ერთმა პოლიციელმა ნორაშენის ქუჩაზე დაინახა კაცი, რომელმაც, პოლიციის ცნობით, რევოლვერი ესროლა, მაგრამ ააცდინა. უცნობი იქვე მოჰკლეს. მას აღმოაჩნდა ჯიბეში რევოლვერი და პატრონები. შემდეგ ამისა ფეთხაინისავე ქუჩაზე პოლიციელებმა დააპატიმრეს მეოთხე კაცი, გვარად მოსეს მალხაზიანცი, რომელიც სხვებთან ერთად პოლიციელებმა გაჯი უგურლიევის მკვლელად იცნეს. მალხაზიანი წაიყვანეს და გაუჩხრიკეს ბინა; აღმოაჩნდა ათ-გირვანქიანი ყუმბარა, ფინური დანა და რამდენიმე ფოტოგრაფიული სურათი.

✦ **მეტრაქტირეების, სასტუმროს პატრონების და სხვათა კრება.** ჩვენს მკითხველებს უკვე გავაცანით მეტრაქტირეებისა, სასტუმრო-სასადილოებისა, საჩაიებისა და ყავახანების პატრონთა კავშირის დადგენილება. კვირას, 28 ოქტომბერს, „რენესანსის“ სათეატრო დარბაზში კავშირის წევრები (160 კაცამდე) ხელ-ახლა შეიკრიბნენ და თათბირი იქონიეს თავიანთ დადგენილებაზე. კრებამ დილის 10 საათიდან საღამოს 5 საათამდე გასტანა. გაცხარებული კამათი ჰქონდათ ყოველ მუხლზე. კამათი გამოიწვია იმ მუხლმა, რომლითაც უნდა შემოეღოთ 12 საათის სამუშაო დრო. ხმის უმეტესობით კრებამ უარ-ჰყო ეს მუხლი და დაადგინა დანიშნოს 10 საათის სამუშაო დრო. დანარჩენი მუხლები უცვლელად იქმნა მიღებული.

✦ **27 ოქტომბრის სალიტ.-სამუს. საღამოს გამო.** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ შემდეგი: „წარსულ შაბათის სალ.-სამუსიკო საღამოს გამგენი ბოდიშს იხდიან საზოგადოების წინაშე, რომ მათგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო ყველა დაპირებული ნომერი ვერ იქმნა შესრულებული, რადგან იმ პირებმა, რომელთაც გადაჭრით გამოაცხადეს თანხმობა საღამოში მონაწილეობის მიღებისა, უარი შემოუთვალეს რამდენისამე საათით წინ საღამოს დაწყებამდის; ერთმა-ორმა კი არც ამისთვის შეიწუხა თავი და უარის თქმა სრულებითაც არ აცნობა გამგეებს“.

**ფქვილის ქურდები.** 28 ოქტომბერს, დილის 5 საათზე, ტფ. მცხოვრებთ ავეტიქ ასლამაზოვს, ტატო ბაჯიევს, კონსტანტინე კოჩინოვს და შაქრო აბგარაზოვს გაუტეხიათ მეორე გილდის ვაჭრის პოპოვის ფქვილის საწყობი და უნდოდათ ფქვილის გატაცება. ქურდებს მოასწრეს და ყველანი დააპატიმრეს.

✦ **ახალი კლუბი.** კვირას, 28 ოქტომბერს საღამოს 8 საათზედ დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში ექიმის გაბაშვილის თავმჯდომარეობით მოხდა კრება ტფილისში ახალ კლუბის დამაარსებელთა. უნდა ამეერჩიათ კლუბის მამასახლისთა საბჭო. არჩევნებამდე ვ. ი. რცხილაძემ ლაპარაკი ჩამოაგდო იმაზე, თუ რა წყაროს იმედი აქვს კრებას იმ თანხისთვის, რომელიც საჭირო იქნება კლუბის მოსაწყობად, სახლის დასაქირავებლად და მთელის საქმის საორგანიზაციოდ. წევრთა უმრავლესობამ ის აზრი გამოსთქვა, რომ ჯერ ბევრს არ გამოვეკიდებით; რაცა გვაქვს, ჯერ იმითი დავიწყოთ, შემდეგ საქმე გაიზრდება და ხარჯსაც გაუძლებთო. ამ ჟამად 1000 წევრი რომ ვიშოვნოთ კლუბისთვის, ამ თავით 10,000 მანეთი გვექნებაო. შემდეგ კრება შეუდგა არჩევნებს. ამ დღეს აირჩიეს 11 მამასახლისი. მამასახლისებად ამორჩეულ იქმნენ თავ. მ. ორბელიანი, თავ. პ. ი. თუმანიშვილი, მ. ლომჯანიძე, გ. გვაზავა, ს. კლდიაშვილი, თავ. ი. ანდრონიკაშვილი, ვ. ი. რცხილაძე, თავ. ალ. ორბელიანი, გამრეკელი, თავ. ჯორჯაძე და თავ. ს. ქავჟაძე.

✦ **გაფიცვა.** გუშინ, ტფ. საყასბოს სალახებმა, 100 კაცზე მეტმა, ეკონომიური მოთხოვნილება წარუდგინეს ქალაქის გამგეობას. სალახები გუშინვე გაიფიცნენ. ქალაქის გამგეობა შეუდგა ასლახებთან მოლაპარაკებას და თუ შეთანხმება ვერ მოხდა, შესაძლებელია ქალაქი რამდენსამე ხანს უხორცოდ დარჩეს.

✦ **თოვლი გურიაში.** გურიიდან გვატყობინებენ, რომ ამ ბოლოს დროს ცუდი ამინდები დამდგარა იქ. ოქტომბრის 16 რიცხვს ზოგ ადგილას თოვლიც მოსულა და ისედაც მცირე მოსავალი წლიურ სარჩოსი მოურთველი დარჩენიათ გლეხებს. მაგალითად, სოფელ ზემოხეთისა და ახლო-მახლო სოფლების გლეხობას ნახევარზე მეტი ნაწილი სიმინდისა მოუტეხელი აქვს, აგრეთვე თურმე ყურძენიც. ესღა აკლდა გაჩანაგებულ გურიას...

✦ **ტფილისის კომენდანტი.** ტფილისის კომენდანტის თანამდებობის აღმასრულებლად დაინიშნა გრუზინსკის პოლკის უფროსი [illegible].

**ტფ. გენ. გუბერნატორის განკარგულებანი.** [illegible] სამხედრო წესების მოხსნამდე იგზავნებიან: მჭადისჯვრელი ვლადიმერ ძრიელაშვილი და პატიკა კორჩაიძე და ხოდაშნელი დათია ცივილაშვილი. 15 მანეთით დააჯარიმეს სახლის პატრონი ნ. სულხანოვი.

✦ **მკვლელობა.** გუშინ, 29 ოქტომბერს, დილის 10 საათზედ, ვორონცოვის ქუჩაზე ტოლლეს ქარხნის პირდაპირ ვიღაც შეიარაღებულნი თავს დაეცნენ ხარაზოვის ბაღის მოიჯარადრეს, ორჯელ რევოლვერი დაახალეს და იქვე მოჰკლეს. პოლიციამ ეჭვით ამ საქმის გამო ექვსი კაცი დააპატიმრა.

✦ **ქუთაისის გენ.-გუბერნატორი.** „კავკაზ“-ში ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ ქუთაისის გენ.-გუბერნატორად, იაზოკოვის ნაცვლად, რომელიც დროებით დაეთხოვა სამსახურს, დაინიშნა გენერალი სლავოჩინსკი.

✦ **კურსები.** სახალხო უნივერსიტეტის სომეხთა სექციის წევრნი მხნედ შეუდგნენ საქმეს. სექციამ მოაწყო სისტემატიური კურსები, რასაც ყოველ დღე თითქმის 300-ზე მეტი ყურის-მგდებელი ესწრება. დღეს ლექციებს წაიკითხავენ ს. ავეტიქიანი—„სომეხთა ძველი ლიტერატურა“, სტ. აკოფიანი—„სომეხთა ახალი ლიტერატურა“ და ტ. იოანესიანი—„სამოქალაქო უფლება“.

✦ 27 ოქტომბერს მაულიხის ქუჩაზე მცხოვრებ დარია ხუცარაშვილის სახლში შევარდა სამი მძარცველი. ერთი შეიარაღებული იყო. გაიტაცეს 250 მანეთის ნივთები და მიიმალნენ. პოლიციელებმა ეჭვი მიიტანეს ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებ კირილე კოსხაპერაშვილზე და დააპატიმრეს. დაპატიმრებულს აღმოაჩნდა რევოლვერი და პატრონა.

✦ ტფ. პოლიცმეისტერმა აცნობა ბოქაულებს, რომ ქალაქის დათვალიერების დროს მან შეამჩნია ბევრი უწესობა: ქვაფენილები ბევრგან უსწორმასწოროდ არის დაფენილი, მეეზოვენი რიგიანად არ ასუფთავებენ ეზო-ქუჩებს, სახლის პატრონები უწესოდ აწარმოებენ მობინადრეთა შესახებ წიგნებს, მედუქნეები და მცხოვრებნი ბევრგან ქუჩაში აქცევენ წყალს. პოლიცმეისტერი წინადადებას აძლევს მოხელეებს, ყურადღება მიაქციონ წესიერებას და მისი დამრღვევნი პასუხის გებაში მისცენ.

✦ ნიკოლოზის მოედანზე ხიზაბავრელის დუქნის პირდაპირ 27 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზედ, ვიღაცები თავს დაეცნენ ტფ. მოქალაქეს ალექსანდრე ბასინიანცს, ოთხჯერ დაახალეს რევოლვერი და სასიკვდილოდ დასჭრეს. დაჭრილმა განაცხადა, რომ იგი დასჭრა ტრამვაის ერთმა დამტარებელმა, რომელსაც იცნობს, მაგრამ გვარი კი არ იცის.

✦ ოლგას ქუჩაზედ, 27 ოქტომბერს, სა-

# ფელეტონი

## ცოტა რამ ბ-ნ ნ. ჟ—ნიას წიგნის შესახებ

(შემდეგი *)

ბ-ნ ნ. ჟორდანიას „ისტორია“ აი როგორია: საფრანგეთში იყვნენ პროფესიონალური კავშირები, გაჟღენთილი ბურჟუაზიულ ინტერესებით; ისინი სოციალისტურ იდეალს არ ისახავდნენ. მე 80 წლებში მათ მარქსისტების გავლენით შეითვისეს სოციალისტური იდეა. ამის შემდეგ სინდიკალიზმი იზრდებოდა და მძლავრდებოდა. მათმა კონფერენციამ ლიმოჟში 1895 წელს გადასწყვიტა: „კონფერენციის ნაწილები უნდა იდგნენ ყოველნაირ პოლიტიკურ სკოლათა გარეშე“; „კონფერენციის მიზანია შეაერთოს მუშები, რომელნიც იბრძვიან თავის სრულ განთავისუფლებისათვის“. ამით მიეცა დასაბამი განსაკუთრებით სინდიკალურ სოციალიზმს. ასეთსავე გზას დაადგა კიდევ უფრო წინად ბირჟების ფედერაცია, რომელმაც ბოლოს თავისი ფუნქციები გადასცა კონფედერაციის სოციალისტურ პარტიას.

აი ისტორია სინდიკალიზმისა! ასე მოგვითხრობს თურმე ლაგარდელი. ბ-ნო ნ. ჟ—ნიავ, თქვე დალოცვილო, სულ არაფრის მცოდნე მკითხველიც-კი თქვენისავე ნალაპარაკევიდან მიჰხვდება, რომ სტყუით, პატიოსან ლაგარდელსაც ტყუილს ალაპარაკებთ. ჯერ ამბობთ სინდიკატი გასოციალისტდა, გამძლავრდა მარქსისტების გავლენით მე-80 წლებიდანაო; მერე კი, 1896 წელს, თითქმის ათი წლის ზრდის შემდეგ, ლიმოჟის კონგრესზედ დაუდგენია ამავე კონგრესს, რომ **კონფედერაცია პოლიტიკურ სკოლათა გარეშე უნდა იყოსო**, და აქედან შექმნილა „**განსაკუთრებითი სოციალიზმი**“. როგორ შეიძლება, რომ მარქსისტებმა დაადგინონ—მუშები პოლიტიკურ სკოლათა გარეშე უნდა იყვნენო? როგორ შეიძლება მარქსისტებმა აღიარონ „**განსაკუთრებითი სოციალიზმი“ უპოლიტიკოდ**?! უცნაურია, მაგრამ კიდევ უფრო უცნაურია ის, რომ **ბირჟების ფედერაციას გადაუცია თავისი ფუნქციები „კონფედერაციის სოციალისტურ პარტიისათვის“**, რომელიც თავის დღეში არ არსებულა და არც ლაგარდელს უთქვამს არაფერი ამისი მსგავსი! ბ-ნო ნ. ჟ—ნიავ, **врите да знайте мѣру!** მაგრამ ბ-ნ ნ. ჟ—ნიას უარესი საჯაყი საქმე ემართება: იგი ლაგარდელს ალაპარაკებს, და სწორედ თვით ზემოხსენებულ ტყუილის წინააღმდეგ აძლევს სიტყვას. ლაგარდელის სიტყვით—**სოციალისტურ პარტიის უვარგისობა**, მის მიერ **ფრაქციულ განხეთქილების შეტანა მუშათა მოძრაობაში, პარტიის დასუსტება, მუშათა შორის დოგმებისა და განხეთქილების უნდობლობა, ფორმულათა სიძულვილი**—აი მიზეზები მუშათა მიერ **ახალი, შრომის პარტიის დაარსებისა**, ლაგარდელის სიტყვით. მუშათა კლასს **არ ესმოდა** ეს განყენებული **ფორმულები**, რომელსაც ყველა ახვევდა მას თავზედ, და **შეიძულა** იგინი. ამ დროიდან მან მთელი თავისი იმედი დაამყარა ცხოვრების გაკეთილებზედ, ბრძოლაზე და გამოცდილებაზედო, და სხვ. აი ლაგარდელის აზრი, რომელიც ბ-ნ ნ. ჟ—ნიას ნალაპარაკევს აქარწყლებს. მართლაც ლაგარდელი სწორედ იმას ამტკიცებს, რომ სოც. პარტიებმა ვერ უწინამძღვრეს მუშათა მოძრაობას და ამიტომ მუშები მათ ჩამოშორდნენ და თავიანთ საკუთარ იმედით დაიწყეს მოქმედებაო, ბ-ნი ჟ—ნია კი ამავე ციტატაზედ ემყარება და ამბობს—სინდიკატების მსვლელობა ს.-დ—იის მსვლელობასთან არის შეკავშირებულიო. ამისათვის მას რაღაც „**კონფედერაციის სოციალისტური პარტიაც**“-კი მოუგონია, რომლისთვისაც ბირჟებს თავისი ფუნქციები გადაუცია! ეს კიდევ არაფერი: ნ. ჟ—ნია ასე **ათავებს** საფრანგეთის სინდიკალიზმის ისტორიას:

„როგორც ხედავთ, საფრანგეთის სინდიკალიზმი გამოიწვია სოციალისტური პარტიის დანაწილებამ და დაუძლურებამ, ხოლო სინდიკალიზმის გამძლავრებას ხელი შეუწყო სოციალისტების ერთი ნაწილის გაოპპორტიუნისტებამ, ჟორესმილიერანიზმის აღორძინებამ. სამაგიეროთ, მას შემდეგ რაც ამსტერდამის სოციალისტური კონგრესსის გადაწყვეტილების თანახმად საფრანგეთის სოციალისტური პარტიები—გედისტები, ჟორესისტები, ბლანკისტები და სხ.—შეერთდნენ და ოპპორტიუნიზმი უარ-ჰყვეს, სინდიკალისტებიც მათ დაუახლოვდნენ და ერთად სიარულს რჩეობენ. ამ ჟამათ შეერთებულ სოციალისტურ პარტიის ცენტრალურ ორგანოში („Humanité“) თანამშრომლობენ სინდიკალისტებიც“ (გვ. 159).

ასე მშვენივრად გაათავა ბ-ნმა ნ. ჟ—ნიამ თავისი „ისტორია“, მაგრამ ამ მოკლე ისტორიაშიაც გრძელი ტყუილები ჩაურთო, რომ გულ-უბრყვილონი შეცდომაში შეიყვანოს, მაგრამ ტყუილი იმედი აქვს. ჯერ ერთი—ბ-ნ ნ. ჟ—ნიას ზემონათქვამიდან ვერაფერს ამის მზგავსს ვერა ვხედავთ, რასაც იგი აქ მოყვანილ ტირადაში მოგვითხრობს. რას ნიშნავს ის, რომ სინდიკალისტების გაძლიერებას ხელი შეუწყო სოციალისტურ პარტიების გაოპპორტიუნისტებამაო? ალბად იმას, რასაც ლაგარდელი ამბობს,—რომ სოციალისტურმა პარტიებმა თავიანთის დოგმებით თავი მოაბეზრეს მუშებსაო? აქ ბ-ნი ნ. ჟ—ნია თვითონაც ჰგრძნობს, რომ ლაგარდელის ციტატა მას პირდაპირ ყელსა სჭრის და ადგენს თანსწორობას: დოგმებისაგან თავის მობეზრება და სხვა უდრის ოპპორტიუნისტობასაო. მაგრამ ოპპორტიუნისტი ხომ ჟორესი იყო, მაშასადამე—დოგმების თავის მობეზრება და სხვა უდრის ჟორეს-მილიერანის ოპპორტიუნისტობას; ეს თანასწორობა კი პირდაპირი, აშკარა სიცრუეა, პირდაპირ ფაქტის უარ-ყოფაა, რადგან სინდიკატებში მოქმედებდნენ—**გედისტები** განსაკუთრებით, მათ სინდიკალიზმთან დავას არავითარი კავშირი არა ჰქონია ჟორესიზმის ისტორიასთან—ერთი სულ სხვა იყო, მეორე სულ სხვა, და თუ რომელიმე ფორმულა ავიარეთ, მაშინ უფრო ეს გამოგვივა: გედისტების დოგმატიზმი და სხვა უდრის მათ მუშათაგან განშორებას, რასაც თვით ლიმოჟის კონგრესსის გადაწყვეტილება გვიმტკიცებს.—შემდეგ, ამსტერდამის კონგრესზედ სინდიკალიზმის წარმომადგენელი არა ყოფილა, კონგრესის გადაწყვეტილებაც.-დ აჰგმო საყოველთაო გაფიცვა, ეს კი სინდიკალიზმის პროგრამმის უმთავრესი პუნქტია; სინდიკალიზმი და პოლიტიკური პარტია ერთად ვერ ივლიან ამსტერდამის გადაწყვეტილებით და არც შეთანხმებულან სინდიკატები და „პარტია“ ასეთ ხელ-შეკრულებით, რადგანაც მათი პროგრამმის ცენტრალური პუნქტები ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. „L'Humanité“-ში მუშაობა სინდიკალისტებისა სრულიადაც არ ამტკიცებს სინდიკალიზმის გასოციალ-დემოკრატებას. უმეტეს ნაწილად ამ ჟურნალში მუშაობენ ნასოციალ-დემოკრატალნი სინდიკალისტები. მაგრამ ანარქისტებმაც რომ იმუშავონ იქ, ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, რომ ისინი გასოციალდემოკრატდნენ. თუ კი ვინმე დაუთმობს თავის ორგანოს განსაზღვრულ მიმართულებას, სულელია არ იმუშავოს თავის იდეების გასავრცელებლად? თვით ანარქისტები არა სწერდნენ—პუჟე, კორნელისსენი, გრიფფუელი და სხვანი ლაგარდელის Mouvement Socialiste-ში? მეო-

*) იხ. „ისარი“ № 236

დამის 10 საათზედ, ელექტრონის ვაგონში შეცვარდნენ მძარცველები, რომელთაც კონდუქტორს კრავცოვს 8 მან. წაართვეს. პოლიციამ დააპატიმრა ალექსი გალაძე.

✦ გვთხოვენ დავბეჭდოთ: „23 ოქტომბერს უგზო უკვლოდ დაიკარგა გრიშა დაბარტყაძე, რომელიც სკოლაში იყო გაგზავნილი და უკან აღარ დაბრუნებულა. ბავშვს აცვია შავი და ზოლიანი ხალათი, შავი შალვარი, ჩუსტები. თავზე ხურავს კანტებიანი მწვანე ქუდი. მნახველს ვთხოვ მაცნობოს ამ ადრესით: ელისაბედის ქუჩა, სახლი ბანკისა, № 165, ბინა № 28".

✦ 28 ოქტომბერს, ნაშუადღევის 4 საათზედ, ბელინსკის ქუჩაზე ყაითმაზოვის დუქანში ისხდნენ ტფ. მაზრის მცხოვრებნი ალექსანდრე დავიდოვი და ქართლელი კონსტანტინე სოზიაშვილი. ამ დროს დუქანში შევიდა ქართლის მცხოვრები ილია ლომარაშვილი, რომელმაც დავიდოვს გულში ბებუთი ჩასჩრა და იქვე მოჰკლა. მკვლელი დააპატიმრეს.

✦ სავაჭრო სამეურნეო პოლიციის ზედამხედველმა კ. ზაზანაშვილმა ქალაქის გამგეობის დავალებით ოქმი შეუყენა ფქვილის საწყობის პატრონს სოზიევს, რომელსაც 200 ფუთზე მეტი გაფუჭებული ფქვილი აღმოაჩნდა. რამდენსამე მცხოვრებს ეს ფქვილი უყიდნია და გამოუცხვიათ. პური საზიზღარი გამოსულა.

✦ 27 ოქტომბერს მადათოვის ქუჩაზე ტრამვაის ვაგონი (№ 47) წამოეწია ეტლს (№ 418) და სულ მილეწ-მოლეწა. ცხენები ძალიან დაიჩეხნენ, ხოლო მეეტლე სტეფანე მანანოვი სიკვდილს გადარჩა.

✦ 28 ოქტომბერს, რიყის ქუჩაზე, პოლიციის გამოძიებით, ახალციხის მცხოვრების ერზიკიანცის საწვრილმანო დუქანში შესული სენაკის მაზრის მცხოვრები პავლე ოდიშარია და მოუთხოვნია ფული. რადგან უარი მიუღია, ოდიშარიას ერზიკიანცი დანით ხელში დაუჭრია. ოდიშარია იქვე დააპატიმრეს.

✦ გორის მაზრის ცხინვალის საზოგადოებას შუამდგომლობა აღუძრავს, რომ სასოფლო-სამეურნეო თანხიდან სესხი მიეცეს თესლის სასყიდლად.

✦ წყალში დაზრჩობისაგან გადამრჩენ საზოგადოების გამგეობამ სთხოვა ქალაქის გამგეობას დაუნიშნოს მომავალ წლისთვის შემწეობა 1200 მანეთამდე.

✦ სომეხთა სემინარიის სახლში კუჩნეჩნი ქუჩაზე ტერ-გრიგორიანცის მაღაზიაში შეპარულა 28 ოქტომბერს გიორგი ნონიევი და 88 მან. ნივთები მოუპარავს. ნონიევი მეეზოვემ დააპატიმრა.

✦ 27 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზედ, სადგურის ქუჩაზე ერთმა კაცმა რაღაც იარაღით ისე ძლიერ დასჭრა უცნობი კაცი, რომ რამდენისამე საუენის გავლის შემდეგ ჩაიკეცა და მოკვდა. მკვლელი მიიმალა.

✦ თელავის მაზრის სოფელ შაშიანის გლეხებმა შუამდგომლობა აღძრეს, სასოფლო სამეურნეო თანხიდან სესხად მიეცეთ 4000 მანეთი წყლის მილის გამოსაყვანად.

## ქუთაისის ქრონიკა

—:—

✦ პურის სიძვირე დღითი-დღე საგრძნობელი ხდება. ჯერ თვე არ გასულა, რაც პურის ნიხრს მოემატა თითო კაპეიკი—ოყა პური იყიდებოდა პირველ ხარისხისა 15 კ., ხოლო მეორისა 14 კაპეიკად—და პურის მცხობლებმა განცხადება შეიტანეს ქალაქის გამგეობაში პურის ნიხრის გადიდებაზე. ქალაქის გამგეობის მიერ მიღებული ცნობები რუსეთიდან პურის ფასების შესახებ, საიმედოს არაფერს წარმოადგენს და მოსალოდნელია, რომ პურს ფასი მოემატება. როგორ დაირჩენს ღარიბი ხალხი თავს ამ სიძვირეში, წარმოუდგენელია, მით უფრო, რომ სიმინდის ფქვილიც მეტად ძვირობს და ფუთი იყიდება რვა აბაზად. ხალხის სიტყვით, ასე ძვირად სიმინდი არას დროს არ გაყიდულა ახალ შემოდგომაზე, და რა მოხდება გაზაფხულზე, ადვილი მისახვედრია.

✦ ქალაქის საბჭოს მიერ არჩეული კომისია 29 ოქტომბერს წარუდგენს საბჭოს თავის მოსაზრებებს საღორიის ტყის ექსპლოატაციის შესახებ. კომისიის აზრით, ერთ ნაწილს ტყისას უნდა შემოევლოს არხი, რომლის პირად უნდა დაირგას ეკლიანი ხე; გამორჩევით მოჭრა ხეებისა უნდა მოისპოს და მუხის ხეებისაგან განთავისუფლებულ ადგილებში დაირგოს თეთრი აკაცია; ვიდრე აკაცია დაირგებოდეს, მიწა სახნავად უნდა მიეცეს გლეხებს ორი წლით.

✦ ქალაქის სასკოლო კომისიამ დაადგინა, რომ ის ფული, რომელიც მოსწავლეებს ხდებათ სწავლის ფულად, გადაიდოს ცალკე ფონდად იმ პირობით, რომ, როცა შესაძლებელი გახდება, ამ ფულით საკუთარი შენობა ააგოს სკოლებისათვის.

✦ 28 ამ თვისთვის დანიშნული კრება თავად-აზნაურობისა გადაიდო 25 ნოემბრისათვის. 28 ოქტომბერს შეუძლებლად სცნეს კრების მოწვევა, რადგან ამ ჟამად ჯარის კაცთა გამოწვევის ვადაა და ბევრი ამ საქმეშია გართული.

✦ ქართულ გიმნაზიის სამზრუნველო კომიტეტმა კვლავ მოსთხოვა გიმნაზიის გამგეობას დაწვრილებითი ცნობები იმის შესახებ, თუ ვის რამდენი გაკვეთილი აქვს და ვინ რა ცენზით არის აღჭურვილი. ამნაირივე ცნობები მოსთხოვა გიმნაზიის ადმინისტრაციას სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა.

✦ სამზრუნველო კომიტეტისა და საამშენებლო კომისიის უკანასკნელ სხდომაზე დამტკიცდა გიმნაზიის შენობის გეგმა, ხოლო ხარჯ-აღრიცხვას ამ ცოტა ხანში განიხილავენ.

## პრესსა

—:—

ამას წინად ჩვენს გაზეთში შეცდომით დაიბეჭდა ლექსი ილია ჭავჭავაძისა „მთავარეს". ეს ლექსი ისეთმა კაცმა გამოგვიგზავნა, რომელსაც მინდობილი აქვს განსვენებულ მგოსნის ხელნაწერების გადარჩევა და შეგვატყობინა, ეს ლექსი ჯერ არსად დაბეჭდილაო. ლექსი იყო ახალი ვარიანტი დაბეჭდილ ლექსისა, შეცვლილი იყო მხოლოდ რამდენიმე სტრიქონი. ჩვენმა კორესპონდენტმა შეცდომაში შეგვიყვანა, რაიც აღნიშნა „ჩვენმა გზამ", მაგრამ ამ გაზეთმა ეს შეცდომა სხვანაირად ახსნა. სწერდა:

> ან შეიძლება იგინი (ე. ი. «ისრის" რედაქცია) იმდენად გაიტაცა ვაჭრულ, ჩარჩულ ინტერესებმა, რეკლამის ძებნამ, რომ განზრახ ჩაიდინეს სიყალბე? ლიტერატურული უვიცობა თუ ლიტერატურის ჩარჩობა-ვაჭრობაზე გაცვლა ორივე თავსლაფ დამსხმელია.

„ჩვენის გზის" რედაქციამ, როგორც ხედავთ, „ლიტერატურით ჩარჩობა-ვაჭრობა" დაგვწამა, ე. ი. ჩვენ ვიცოდით, რომ ზემოხსენებული ლექსი დაბეჭდილი იყო, მაგრამ განზრახ ხელმეორედ დავბეჭდეთ „შაურების მოსაკრეფად". ასეთი ბრიყვული იჭვი, რასაკვირველია, მხოლოდ ავადმყოფ კაცს დაებადება, მაგრამ რას მივაწეროთ „ჩვენი გზის" და მისი თანამშრომლის ქ-ნ აზიანის ანალოგიური საქციელი,—ჩარჩობა-ვაჭრობას თუ უმეცრებას?

„ჩვენი გზის" პირველ ნომერში (4 სექ.) სამ გვერდზე გაჭიმულია სცენები ორ მოქმედებად ქალბატონ აზიანისა „ხან ასე და ხან ისე". იგივე ფელეტონი იმავე სათაურით სამგვერდიან ფელეტონად არის დაბეჭდილი „ივერიის" მე-203 ნომერში (11 ნოემბ. 1905 წ.). როგორც ეტყობა, ქ-ნ აზიანს საფანელი და „ქანქარი" შემოჰკლებია და მშვენიერი ხერხი მოუგონია: აუღია „ივერიაში დაბეჭდილი თავისი ფელეტონი, გადაუკეთებია სულ ხუთიოდე სტრიქონი და ჩაუბარებია „ჩვენი გზისთვის", რომელმაც ხელმეორედ დაბეჭდა იგი. „ჩვენ გზას" ვერც ჩარჩობას დავწამებთ და ვერც ლიტერატურულ უვიცობას, ვინაიდან აზიანის სახელით ჩარჩობა ყოვლად შეუძლებელია და იმის ნაწერების დახსომებაც ადვილი საქმე არ არის. მაგრამ ის კი ცხადია, რომ თვითონ ქ-ნი აზიანი თავის ნაწერებით ჩარჩობს, ერთსა და იმავე პიესას რამდენჯერმე ჰბეჭდავს.

* *

რამდენიმე დღის წინად პეტერბურგში დაარსდა ახალი „ველიკოროსული ეროვნული პარტია", რომელიც ოქტომბრისტებზე უფრო მემარჯვენეა. ამ პარტიას სათავეში ჩაუდგნენ „ნოვოე ვრემიას" რედაქტორი სუვორინი, ცნობილი კაციჭამია მენშიკოვი, გრინგმუტის გაზეთის თანამშრომელი ბოდისკო, ვიტტე და მრავალი მსხვილი ბიუროკრატი. „რუსეთი რუსებისა უნდა იყოსო"—აი, დევიზი და საფუძველი ახალ პარტიისა, რომელსაც დიდი გავლენა აქვს მმართველ წრეებში. მთავარი აგიტატორი და პროპაგანდისტი პარტიისა მენშიკოვი ასე ასაბუთებს ახალ პარტიის ძირითად პრინციპს:

> რუსეთის ერს შევადგენთ ჩვენ (რუსები) და სხვა არავინ: არც ებრაელები, არც პოლონელები, არც თათრები, არც ქართველები და არც სომხები. სახელმწიფო სათათბირო უნდა სახალხო იყოს. მან მხოლოდ იმაზე უნდა იზრუნოს და იფიქროს, რომ ჩვენი ტომი (ე. ი. რუსები) მუდმივი ბატონი და ბრძანებელი იყოს სახელმწიფოში. რუსეთი მხოლოდ ჩვენია და სხვას არავითარი წილი არა აქვს, რუსეთი მხოლოდ ჩვენთვის არის და სხვა არავისთვის. დროა დაპყრობილ და თავხედ პაწაწინა ერებს პირდაპირ დავუყვიროთ: შორს ჩვენგან! ხელი გაუშვით რუსეთს, რომელსაც შევადგენთ ჩვენ და არა თქვენ. იწყება რუსის ხალხის გამოღვიძება. გაიღვიძებს ხალხი და ყველა დარწმუნდება, რომ ხელმეორედ აღზდგება დაკარგული ეროვნული გრძნობა, მაშინ «სცანთ წარმართთა და იძლიენით, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!" თქვენს ეროვნულ პრეტენზიას წინ დავუყენებთ ჩვენს პრეტენზიას და ვნახოთ ვინ გაიმარჯვებს. რა კი ბრძოლა დაიწყო, გავათავოთ კიდეც.

ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდა და ისიც შიგ შესჩხირესო. დღევანდელ მთავრობას აკლდა საზოგადოებრივ ორგანიზაციის დახმარება, ეხლა კი ასეთი ძალაც მოიპოვა. ცხადია, რომ ახალი პარტია მალე გაიზრდება, მოლონიერდება და სახელმწიფო მართვა-გამგეობასაც ჩაიგდებს ხელში. ბრძოლა დიდი ხანია დაიწყო, მაგრამ ამიერიდან იგი უფრო გამწვავდება და გახურდება, ხოლო ვის დარჩება გამარჯვება, ამას ახლო მომავალი გვაჩვენებს.

## თეატრი და ხელოვნება

—

**სალიტერატურო საღამო.** შაბათს, 27 ოქტომბერს, ილია ჭავჭავაძის დაბადების დღეს, საარტისტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზში გამართულ იქმნა სალიტერატურო და სამუსიკო საღამო, რომელმაც დიდ-ძალი საზოგადოება მიიზიდა. სამწუხაროდ, საღამომ ვერავითარი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. საინტერესოდ შედგენილი პროგრამმა სანახევროდაც არ იქმნა შესრულებული.

სცენის წინ იდგა ყვავილებითა და გვირგვინებით მორთული ბიუსტი (რომელიც, სიტყვაზე, სულ არა ჰგავდა პოეტს) და აქეთ-იქით ეყუდა ორი დიდი კარგად გადაღებული სურათი პოეტისა. პირველად ილია ჭავჭავაძის ავტობიოგრაფია წაიკითხა დ. ნახუცრიშვილმა. მოგონება ილიას შესახებ არტურ ლეისტისა, წაიკითხა ი. ევდოშვილმა, რომელმაც საჭიროდ სცნო თავისი საკუთარი პაწია მოგონებაც (სულ ორი სიტყვა) ეუწყებინა საზოგადოებისათვის. უფრო საყურადღებო იქმნებოდა მოგონებანი ეკატერინე გაბაშვილისა, მაგრამ იგი რაღაც მიზეზით არ გამოვიდა სცენაზედ. გვარიანად წაიკითხეს თავიანთი ლექსები ქ-ნმა განდეგილმა და კ. მაყაშვილმა.

მეორე განყოფილება დაიწყო ხორომ, რომელმაც შეასრულა ბ-ნ ფალიაშვილის ლოტბარობით „ქართველო, ხელი ხმალს იკარ". ილიას „ნანა", მუსიკა ბალანჩივაძისა, კარგად იმღერა ქ-ნმა ძნელაძისამ თავისის ქალიშვილის აკომპანიმენტით. „ქართველის [illegible] ს. რომანიშვილმა, ხოლო „გლახის [illegible] დას" და ნაწყვეტი [illegible] კითხა გ. ანანიაშვილმა.

მესამე განყოფილებაში ილიას ორი ლექსი წაიკითხა ნ. კურდღელაშვილმა. „ელეგია" იმღერა ქ-ნ პრესინსკისამ და „ჩემო კარგო ქვეყანავ" ბ-ნმა კ. ცხომელიძემ. ნაწყვეტი „აჩრდილის" ახალ ვარიანტიდან კარგად წაიკითხა ა. იმედაშვილმა. დასასრულ ლოცვა „დიდევ ლვთისაო, ეს ქვეყანა შენი ხვედრია" შეასრულა ბ-ნ ფალიაშვილის ხორომ.

პროგრამაში გამოცხადებულ მონაწილეთაგან, ქ-ნ გაბაშვილის გარდა, არ იყვნენ: ქ-ნი ნ. ჩხეიძე, ბ-ნნი ვ. გამყრელიძე, ი. ტომაშევიჩი და კ. ჯაფარიძე, რომელნიც საყვედურის ღირსნი არიან, მაგრამ უფრო მეტი საყვედური ეკადრებათ საღამოს გამგეთ, რომელთაც პატივი არა სცეს განსვენებულის პოეტის ხსოვნას და ასე უშნოდ და ულაზათოდ ჩაატარეს საღამო. თუ უნარი არა ჰქონდათ, სულ არ უნდა ეკისრათ საღამოს გამართვა. დამსწრე საზოგადოება ძალიან უკმაყოფილო დაიშალა.

## ცუდილს მოყლე ფეხები აქვს
(წერილი რედაქც. მიმართ)

„ჩვენი გზის" მე-13 ნომერში დაიბეჭდა ბ-ნ გოგიას წერილი ქიზიყიდან. ეს წერილი თავით ბოლომდე ტყუილებით არის სავსე. სხვათა შორის, ავტორი სიღნაღში ყაზახების მოსვლაზე სწერს და ასე ამბობს ქიზიყელებზე: „ძალიან აინტერესებდა ქიზიყელს ყაზახების ნახვა, მეტადრე მას შემდეგ, რაც მათი „საქმენი საგმირონი გაზეთში იწერებოდა. მათი (ქიზიყელებისა) გულუბრყვილო ნატვრა ასრულდა. აგვისტოს შუა რიცხვებში ქიზიყს ეწვია (არა ქიზიყს, არამედ ქ. სიღნაღს და ეხლაც იქა სცხოვრობენ) ერთი ასეული ყაზახი. მოსვლისათანავე ჩამოუარეს სოფლებს (სიღნაღს არ გასცილებიან) და დაანახვეს თავიანთ სანატრელი სახე. კაცი თუ ქალი, დიდი თუ პატარა გაფაციცებული აცქერდებოდნენ და გულუბრყვილოთ ამბობდნენ, ეგენიც კაცები ყოფილანო. ნუ თუ აქამდის ველური ხალხი ქიზიყში მცხოვრებნი, რომ აქამდი არ იცოდნენ, რომ ყაზახებიც ადამიანები არიან? შემდეგ უებარი ავტორი ღვინის მოსავალზე სწერს, აქაც ტყუილებით აზავებს თავის ნაწერს და გაიძახის: „გვალვისაგან შეწუხებულმ ვენახებმა ნაკლები მოსავალი მოგვცაო". მაშ რად იყიდება ხელადა მაჭარი (ხელადა $^{1}/_{2}$ თუნგის) 7, 8, 9 და 10 კაპეიკად? ანუ რად დარბის ქუდ-გადაგდებული ჩურჩხელისათვის ჯუგაანელი, სქობელი, მაშნაანელი, ანაგელი, კარდენახელი? პირიქით, ამათ წლევანდელისთანა უხვი ღვინის მოსავალი არ უნახავთ. აი დღეს ღვინობისთვის თორმეტია და დღესაც ჯერ კიდევ ბევრი ვენახია დასაკრეფი, რომ ჩურჩხელი ვერ უშოვნიათ. გარდა ამისა, შემდეგ ბ-ნი გოგია გადადის

---

რე მხრით, თვით დღევანდელი ანარქისტი და სინდიკალისტი „Temps Nouveaux"-ში არა სწერს?—მაგრამ ამას ყოველივეს თავი დავანებოთ—ჟორესს არ უთხრეს ამ უკანასკნელად—თავი დაანებებინე სინდიკალისტებს შენ ორგანოში წერისათვისაო? სოციალდემოკრატებმა არ უბრძანეს და ცივი უარიც არ მიიღეს? არა, ბ-ნო ნ. ჟ—ნიავ, წვრილმანებშიაც კი სიყალბე გეტყობათ!

თვით ბ. ნ. ჟ—ნიას ნალაპარაკევიდან სულ სხვარამეა თვალსაჩინო სინდიკალიზმის შესახებ, ვიდრე მასა ჰგონია და ქვეყანას არწმუნებს, მაგრამ ნ. ჟ—ნიას ისტორია ისტორია კი არა, უშნო და შეხანხლილი ლათაიაა ქვეყნის თვალის ასახვევად, და ჩვენც ავადგინოთ სიმართლე ამ ისტორიის შესახებ. ჩემი მიზანი აქ სინდიკალიზმის ისტორია არ არის, არამედ მინდა აღვნიშნო შესამჩნევი მისი მომენტები, რომ ბ-ნ ნ. ჟ—ნიას სიყალბე დავამტკიცო.

1. სინდიკატთა ფედერაციის კონგრესზედ ნანტში 1895 წელს გედისტები კონგრესიდან გავიდნენ მუშათა მიერ საყოველთაო გაფიცვის მიღების გამო. ეს იყო პირველი ფაქტიური ხიდის ჩატეხა მუშათა და სოციალ-დემოკრატთა შორის. ეს ფაქტი ბ.ნ ნ. ჟ—ნიას გამოუტოვებია, იმიტომ რომ სწორედ ამ კონგრესზედ მისცეს მუშებს წინადადება—არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ დაემორჩილონ და ამით თავიდან აიცილონ მუშათა შორის მოსალოდნელი განხეთქილება.

2. 1892 წელს მოხდა კონგრესი შრომის ბირჟებისა ტურში და სინდიკატებისა მარსელში, სადაც მიიღეს საყოველთაო გაფიცვა. ეს უკანასკნელი მიიღეს აგრეთვე პარიზის კონგრესზედ კორპორაციებმა 1893 წელს. აირჩიეს 9 კაცი რომელთაც უნდა შეემუშავებინათ თეორია საყოველთაო გაფიცვისა და უნდა მოეხდინათ მისი პროპაგანდა. ს.-დ—ები ამისი წინააღმდეგნიც იყვნენ. აქედან დაწყებული ყოველ კონგრესზედ იღებდნენ სინდიკატები და ბირჟები საყოველთაო გაფიცვას, სოციალ-დემოკრატები კი ყოველთვის წინააღმდეგ რეზოლიუციებს ადგენდნენ თავიანთ ნაციონალურ და ინტერნაციონალურ კონგრესებზედ. ტულუზის კონგრესზედ 1897 წელს, ლიონისზედ 1901 წელს, მონპელიესაზედ 1902 წელს—იმავე ენტუზიაზმით მიეგებნენ მუშები საყოველთაო გაფიცვას, და, განვიმეორებთ—მას შემდეგ, რაც ეს ბრძოლა დაიწყო მუშათა და ს.-დ—იის პარტიის შორის ამ საკითხზედ, ს.-—ბი მუდამ წინააღმდეგნი იყვნენ მისი, რადგან იცოდნენ რომ ასეთი ტაქტიკა რევოლიუციონური იყო და პარლამენტარიზმს უარსჰყოფდა ბოლოს და ბოლოს, და ამ ს.-—ბში თვით ჟორესისტმა ბრიანმა უფრო „რევოლიუციონერობა" გამოიჩინა, ვიდრე გედისტებმა, ასე რომ ჟორესისტების გაოპპორტიუნისტებაზედ უფრო გედისტების ფანატიზმმა იქონია სინდიკატებზედ გავლენა პარლამენტარიზმის უარ-ყოფის მხრითაც.

3. 1895 წელს ლიმოჟის კონგრესზედ სინდიკატებმა და ბირჟებმა დააარსეს ახალი დიდი ორგანიზაცია—„შრომის საყოველთაო კონფედერაცია", რომელიც სრულიად განხორციელდა და რეალურ ფაქტად გადაიქცა 1902 წლ. მონპელიეს კონგრესსიდან მოკიდებული. ორსავე ამ კონგრესზედ აღიარებულ იქმნა სრული ავტონომია ორის ორგანიზაციისა,—სინდიკატთა ფედერაციისა და შრომის ბირჟებისა. შრომის ბირჟებს არავითარი თავისი საკუთარი ფუნქციები არ გადაუცია „კონფედერაციის სოციალისტურ პარტიისათვის", როგორც ირწმუნება ნ. ჟ—ნია, არამედ ის ფუნქციები გადასცა „შრომის საყოველთაო კონფედერაციას", რომლებიც, საზოგადოდ, ეხებიან სინდიკალიზმს, როგორც ერთ მთელს. შრომის ბირჟებს რომ თავისი ფუნქციები წაერთვა, მათ და მთელ სინდიკალიზმსაც არავითარი აზრი აღარ ექმნებათ.

მაგრამ ყველაზედ უფრო საინტერესო აქ ის არის, რომ როგორც სინდიკატთა ფედერაცია, ისე ბირჟების ფედერაცია, და აგრეთვე მათი სანტეზი—შრომის საყოველთაო კონფედერაცია განვითარდნენ სწორედ ს.-დ—იის პარტიის წინააღმდეგ ბრძოლაში, განსაკუთრებით საყოველთაო გაფიცვის საკითხში, პარლამენტარიზმში არ ეთანხმებოდნენ ისინი ერთმანეთს. ერთი იღებდა საყოველთაო გაფიცვას, მეორე ჰგმობდა, ერთი უარ-ჰყოფდა პარლამენტარიზმს, მეორე აღიარებდა, ბოლოს ს. დ-ებმა დასტოვეს სინდიკატები, ეს უკანასკნელები შეუერთდნენ ბირჟებს და პრინციპად გაიჩინეს **პოლიტიკურ პარტიის გარეშე ორგანიზაცია—დააარსეს „შრომის პარტია"**, როგორც ისინი ამბობენ, მიიღეს საყოველთაო გაფიცვა, რასაც ს. დ-ები სისტემატიურად უარს ჰყოფდნენ ეროვნულსა და საერთაშორისო კონგრესსებზედ (ამსტერდამის კონგრესზედაც უარჰყვეს), და ამისათვის წაეჩხუბნენ სინდიკატებს. ყოველისავე ამის შემდეგ გამომდგარა ნ. ჟ-ნია და იძახის—სინდიკალიზმი ს. დ-იის ხორცი-ხორცთაგანიო, იგი მისი გავლენით აღორძინდა და ეხლაც მასთან არიო! მართლაც, „აი ისტორია!

ეს კიდევ არაფერი: ისტორია ხომ დაამახინჯა და დაამახინჯა ბ-ნმა ნ. ჟ—ნიმ, ხრიკებსაცა ხმარობს, რომ თავის ჭორების სიმართლეში დაგვარწმუნოს. იგი გვარწმუნებს, რომ სინდიკალიზმს პარლამენტიზმი არ უარ-უყვია, თუმცა ავიწყდება თავის მიერვე მოყვანილი გადაწყვეტილება ნანტის კონგრესსისა ბ-ნ ნ. ჟ-ნიას მოჰყავს ციტატები ლაგარდელისა და ლაბრიოლადან. პირველი ამბობს—საფრანგეთში სინდიკალიზმი ანტიპარლამენტრულად კი არ მოქმედებს, არამედ პარლამენტის გარეშეო. მეორე ამტკიცებს პარლამენტის საჭიროებას თუმცა აღიარებს, რომ პარლამენტით ყოვლად შეუძლებელია საზოგადოების შეცვლაო. პირველი შეხედვით კაცს ეგონება, რომ მართლაც სინდიკალიზმი პარლამენტარიზმს არ უარ-ჰყოფს, რადგან ლაგარდელიცა და ლაბრიოლაც სინდიკალისტები არიან და ამას ამბობენ. მაგრამ აი სწორედ ამაშია ნ. ჟ-ნიას ხრიკი: ლაგარდელი და ლაბრიოლა პირადადარიან და სინდიკალისტები თეორეტიულად მსჯელობენ. არასოდეს არც ერთი არა ყოფილა წევრად სინდიკატისა, რადგან სინდიკატის წევრებად მხოლოდ მუშები არიან. მათი აზრი შეეხება მხოლოდ სინდიკალიზმს, როგორც ობიექტიურს ფაქტს, და სხვა არაფერი. ლაგარდელი და ლაბრიოლა სოციალისტურ პარტიის წევრები არიან, მარქსისტები და იმათ რომ სთქვან ჩვენი პარტია ასე მოქმედებსო, ეს სულ სხვაა, მაგრამ როცა ისინი ამბობენ—სინდიკალიზმი ასეთის ხასიათისაა, იხილავენ რა სინდიკალიზმს როგორც ობიექტიურს მოვლენას—ეს სულ სხვაა. [მართლაც, სინდიკალისტების კონგრესმა ჯერ ბურჟში 1904 წელს გადასწყვიტა, დაეგმო ერთხელ კიდევ პარლამენტარიზმი, როგორც **ორგანიზაციის ტაქტიკა**. 1906 წელს ამიენის კონგრესზე კიდევ გადასწყვიტეს პარლამენტარიზმის უარყოფა სამუდამოდ და სთქვეს: საფრანგეთის პროლეტარიატმა სრულიად შეითვისა **ბაკუნინის იდეაო**. ეს იდეა კი იყო—მუშათა ორგანიზაცია „ზევიდან ქვევით", პირველებიდან და დაწყებული ფედერაციებამდის, გარეშე სახელმწიფოსი და ბურჟუაზიისა. საკუთარის ძალით სოციალურ რევოლიუციის მოხდენა,—აი ბაკუნინის იდეა, რომელიც მართლაც გადაიქცა ეხლა იდეად მთელის საფრანგეთის პროლეტარიატისა.] აი ფაქტი, და როგორ არ ესმის ბ-ნ ნ. ჟ—ნიას, რომ რისამე უარ-ყოფა რომელიმე ორგანიზაციის მიერ იმას ნიშნავს, რომ იგი, როგორც **ორგანიზმი** არ აღიარებს უწყებულ იდეას, არ მოქმედებს განსაზღვრულ პროგრამით.

Bâton.

(შემდეგი იქნება).

ქურდ-ბაცაცობაზე. იქამდის შემინებია ბ-ნ გოგიას, რომ შეძლებული გლეხ-კაცობა სულ ერთიან ხულიგანთა და ქურდ-ბაცაცათა წრეში შეურევია და ამბობს:

„ეხლა გაფაციცებული სცდილობენ პარტიაში ჩაეწერონ, თითქოს პარტიის წევრობა იხსნიდეს ექსპროპრიატორთაგან. მეორეს მხრივ ქურდ-ბაცაცებიცა სცდილობენ „პარტია»-ში შესვლას, რადგანაც ამით სასჯელს აიცდენენ ჰგონიათ; ამგვარი განწყობილებით სარგებლობენ ადგილობრივი ფედერალისტები და რომ პარტია გაადიდონ, „დავთრებში“ სწერენ ყველას, ვინც კი მოისურვებს „პარტიონობას“. ახლად გამოჩენილ ქართველ მეცნიერ პ. აკობიას ქმნილებათა სამი ტომი „ხალხის მტერია სოციალ-დემოკრატია“, „სოციალ-დემოკრატიამ მოატყუა გლეხები“ და „ბნელეთის რევოლიუცია თაგვემმაკთ ევოლიუცია», ფუთობით მოუზიდიან ფედერალისტებს. ალბად ცდილობენ ამ სამეცნიერო წიგნებით ქიზიყის განათლებას. ქიზიყელი „შკოლნიკები“ დაარბენინებენ სოფლებში პ. აკობიას თხზულებებს, ეხვეწებიან, ემუდარებიან გლეხებს: „რა არის კაცო, ერთი წიგნი იყიდე, ვითომ დუქანში ერთი რუმკა არაყი დაგილევნიაო, მაგრამ აქაც ბედმა უმუხთლა პ. აკობიას, სამ კაპეიკიან წიგნებს გლეხები არ ყიდულობენ“.

ჩვენს კეთილ მაუწყებელს და ხალხის მფარველსა და გულ-შემატკივარ ბატონ გოგიას დიდ მადლობას ვუძღვნი, თუ დამისახელებს: ფედერალისტებმა რომელი ქურდ-ბაცაცა ჩაიწერეს თავიანთ პარტიის დავთარში; რომელი „შკოლნიკი“ გადაუდგა წინ ქიზიყელ გლეხს და უთხრა, გინდა თუ არა, უთუოდ იყიდე პ. აკობიას წიგნებიო. აი ბატონო, მართალი თუ გნებავთ, მე მოგახსენებთ.

მე, ამ სტრიქონების დამწერმა, გადავსწყვიტე ამ წელს გამეხსნა ქ. სიღნაღში წიგნების მაღაზია. ბევრი წვალების შემდეგ ვეღირსე ჩემს წადილს და გავხსენი მაღაზია თიბათვის 26-ში. მოვიტანე ქალაქიდან ბევრნაირი წიგნი როგორც ქართული, ისე რუსული, მათ შორის მოვიტანე თქვენ მიერ ათვალ-წუნებული პ. აკობიას ზემო-ხსენებული წიგნაკი: 1. „ხალხის მტერია სოციალ-დემოკრატია“—50 ცალი; 2. „ბნელეთის ევოლიუცია—10 ც. და 3. მომივიდა კიდევ „სოციალ-დემოკრატიამ მოატყუა გლეხები“—246 ცალი. აქედან გაიყიდა დღემდის „ხალხის მტერია სოციალ-დემოკრატია“—37 ც. „ბნელეთის ევოლიუცია“—10 ც., „სოციალ-დემოკრატიამ მოატყუა გლეხები“ 146 ცალი. ეს ჩემთან. ჩემზე წინ მოუვიდა აქ ერთ ვაჭარს „ხალხის მტერია სოციალ-დემოკრატია“ (არ ვიცი რამდენი ცალი). ეს სულ ერთ კვირაში დაიტაცეს, თვითონ მე სოფ. ჯიმითელების დავალებით ვიყიდე 10 ც. და გავუგზავნე; მეტი ვეღარ ვიშოვნე. ამას გარდა კიდევ ერთ პირს მოუვიდა 200 ც. „ბნელეთის ევოლიუცია“ და ესეც სულ გაიყიდა თურმე. ეს ქიზიყში, თელავის მაზრაში უფრო მეტი გაიყიდა. თქვენ წინაამდეგნი ხართ აკობიას წიგნებისა, მაგრამ, როგორც ხედავთ, უთქვენოდაც კარგად იყიდება. ბ-ნი გოგია ბრძანებს: „შკოლნიკები დაარბენინებენ სოფლებში პ. აკობიას მეცნიერებასო“. დიახ, ბატონებო, სიღნაღის მაზრაში დაარბენინებენ (გ—იასებურად) ყველანაირ წიგნებს, ნამეტანავად იაფფასიანს და ყველასთვის ხელ-მისაწდომს, სახალხო წიგნებს, მაგრამ არა „შკოლნიკები“, არამედ 56 წლის მოხუცი, თქვენი უმორჩილესი მონა ი. დ. შავლიაშვილი. იქნება მე, ეს მოხუცი კაცი, „შკოლნიკად“ მოგეჩვენჩვენ გოგიას? რვა-ცხრა წლის ბავშვებს ბერკეტით აქვთ მაგრა ჩაკეტილი სკოლების კარები და რადა მე, 56 წლის კაცი, გავხდი ბედნიერი, რომ „შკოლნიკად“ მიმიღეს?

მე გადაწყვეტილი მაქვს, სადაც კი მივწვდები და მუხლი და ჯანი არ მიღალატებს, წავიღო წიგნები და მივაწოდო ხალხს. პირველად ჩავიტანე ს. ბოდბისხევში 15 ივლისს 32 ნაირი წიგნი. და გავშალე ეკკლესიის ეზოში. იანა მქონდა აკობიას წიგნებიც. ითმინეს ჩვენმა სოციალ-დემოკრატებმა და ბოლოს აევსოთ მოთმინების ფიალა, მომისიეს ერთი ღვინით გალეშილი კაცი, რომელმაც დამიწყო უწმაწური ლაპარაკი და თან ზედ გაშლილ წიგნებზე დაიწყო მტვრიანის ფეხებით სეირნობა. შევეკითხე:

— ძმაო, რა დაგიშავე, რას გიშლით, რად მიფუჭებ წიგნებს მეთქი.

— გასწი, დაიკარგე აქედან, აქ რად გვინდა ფედერალისტების წიგნებიო და სხვა.

მე და ის კაცი რომ ამ უსიამოვნო კამათში ვიყავით, ჩვენი ამაყი სოციალ-დემოკრატები შორიდან ხარხარობდნენ.

მეორედ 15 აგვისტოს ჩავიტანე იმავე სოფელში წიგნები. დღეობას ხალხი ბევრი დაესწრო. დამეხვია გლეხკაცობა და ახალგაზრდობა. დაუწყეს წიგნებს სინჯვა და ყიდვა. უფრო კი პ. აკობიას წიგნებს ეტანებოდნენ. მქონდა მარტო „სოციალდემოკრატიამ მოატყუა გლეხები“. ხალხმაც ამას დაუწყო ყიდვა და კითხვა. ამ დროს ერთი სოციალდემოკრატი ინტელიგენტი (ასე უწოდებდა თავის თავს) იდგა ჩემთან გვერდზე და უყურებდა გლეხკაცობას. ამანაც ამოიღო შაური, მომცა, აიღო ერთი ცალი „სოციალ-დემოკრატიამ მოატყუა გლეხები“, დახია და გადაყარა ხალხში, გლეხების თვალწინ. ასტყდა ხარხარი. ინტელიგენტი შეურ-მოღერებული იდგა, თითქო იაპონია აედოს ან ამერიკა აღმოეჩინოსო. ხალხს ეუბნებოდა: წამოდით კაცებო, აი, იქით სიმღერა-თამაშობაა გაჩაღებული, ჩვენც იქ წავიდეთ, აქ რა გვინდაო და სხვა ისე ამირ-დამირიეს წიგნები, როგორც დომხალი. ეს კამათი, ეს არევ-დარევა სულ იმისი ბრალია, რომ ს.-დემოკრატებს ბრაზი მოსდიოდათ, რათ დამქონდა წიგნები სოფლად და რად ვავრცელებდი ხალხში. ალბად, ბატონ გოგიას გული გადაუბრუნდა, რომ ამ სამ თვეში სიღნაღის მაზრაში 400 ცალზე მეტი წიგნი მოიფინა სოფლებში. თქვენ, ბატონო, გოგიავ, გნებავთ „შკოლნიკი“ გვიწოდეთ, გნებავთ მაწანწალად მოგვნათლეთ, ჩვენთვის სულ ერთია: მე სიკვდილამდის თავს არ დავანებებ წიგნების გავრცელებას სოფლად...

**ივანე დიმიტრის ძე შავლიაშვილი.**

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან.

**რ უ ს ე თ შ ი.**

27 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** ჩელიაბინსკში ხოლერის გაჩენიდან ავად გახდა 30, გარდაიცვალა 19 კაცი; ტროიცკის მაზრაში ავად გახდა 203, გარდაიცვალა 112, კიევში ავად არის 202 კაცი; ნიჟეგოროდის გუბერნიაში ავად გახდა 449, გარდაიცვალა 245; ჩერნიგოვის გუბერნიაში ავად გახდა 90, გარდაიცვალა 48. სარატოვში 12 ოქტომბრიდან ავად არავინ არ გამხდარა.

**ახსაბიდი.** მოჰკლეს დეპოს უფროსის თანაშემწე მავრელიძე. მავრელიძეს ფანჯრიდან ესროლეს.

**სარატოვი** 26 ოქტომბერს საღამოთი, რკინის გზის დეპოს კანტორის ფანჯრიდან მოჰკლეს დეპოს უფროსის თანაშემწე ინჟენერი ალექსანდროვი.

**ბერდიჩევი.** შეპეტოვკას სადგომზე თავს დაესხნენ სადგურის უფროსის თანაშემწეს და წაართვეს 2000 მანეთი.

**ნიკოლაევი.** დააპატიმრეს ორი კაცი. აბრალებენ მონაწილეობის მიღებას კელეპოვსკის მოკვლაში.

**პოლტავა.** საგლეხო ბანკმა ხოროლის მაზრაში შეიძინა 12 მამული, სულ 11,486 დესეტინა. 2628 დესეტინა მიწის მომწესრიგებელ კომისიას გარდაეცა სალიკვიდაციოდ.

**კალუგა.** საგლეხო ბანკმა გუბერნიაში შეიძინა 21 მამული. ბანკი იძლევა მამულის ღირებულობის 90—95%. გარდა ამისა თითოეულ ოჯახს აძლევს 165 მანეთამდე მოსაწყობად.

**გროდნო.** ბრესტში დაიწვა სარემონტო დეპო. განადგურდა 5 ორთქლ-მავალი, 8 საქონლის ვაგონი და პლატფორმა. ზარალი დიდია.

**ტიხვინი.** ბელუჟის ვოლოსტის გლეხებმა აუკრძალეს ადგილობრივ მემამულეს გორსკის საკუთარ ტყის გაჩეხვა. ადგილობრივ გაემგზავრა ისპრავნიკი სტრაჟნიკებით.

**პეტერბურგი.** პეტერბურგის გრადონაჩალნიკი აცხადებს, რომ სახელმწიფო სათათბიროს გახსნის დღეს აღკრძალულია ყოველგვარი დემონსტრაცია, კრებები, ყრილობები და სხვაო.

**ყაზანი.** რექტორის ბრძანებით, ახალ განკარგულებამდე უნივერსიტეტი დაიკეტა.

**ლოძი.** ანდრიას და დოლინის ქუჩის კუთხეში ვიღაცებმა მოჰკლეს საიდუმლო პოლიციის ერთი აგენტი, ხოლო მეორე დასჭრეს.

**პერმი.** სამხედრო სასამართლოს განაჩენით სიკვდილით დასაჯეს: მუშა აბრამოვი (დინამიტის საწყობზე თავდასხმა ჰბრალდებოდა), გლეხი პოპოვი (სამხედრო უფროსის კუნუვის მოკვლა ბრალდებოდა), მაწანწალა ბერეზინი (პერმის საპატიმროში ტუსაღი მოჰკლა), მუშა კოტუხინი (მოჰკლა ეპნის ზედამხედველი) და მუშა ევდოკიმოვი (ჰბრალდებოდა იუგვის ქარხნის ბოქაულის მოკვლის განზრახვა).

**მოსკოვი.** გრადონაჩალნიკმა განკარგულება მოახდინა, მოსძებნონ ლიდვალის ქონება. ლიდვალს ხაზინა ედავება 1,482,000 მანეთამდე.

შეიპყრეს თვალსაჩინო პოლიტიკური დამნაშავე ტოლპოჩენკო, რომელიც ტურუხანსკიდან გაიქცა.

**გროდნო.** ბელსკის მაზრის სოფ. ტოსტნიცაში შვიდ ოჯახს ბედლები გადაუწვეს. გლეხებმა შეიპყრეს ცეცხლის წამკიდებელი, მოჰკლეს და ცეცხლში ჩააგდეს.

**კიევი.** სოფ. სემიხოდაში დაიწვა 73 სახლი, სამი ბავშვი და ერთი ქალი. ბევრი ადამიანი დაითუთქა.

კიევში 26 ოქტომბერს ხოლერით ავად გახდა 13, გარდაიცვალა 1, ავად არის 189 კაცი.

**პეტერბურგი.** ხოლერის შესახებ სააგენტომ მიიღო შემდეგი ცნობები: 25 ოქტომბერს სუჯენის მაზრაში ავად გახდა 4, ორენბურგის გუბერნიაში 1, პენზის გუბერნიაში 10, გარდაიცვალა 4; სიმბირის გუბერნიაში 1; ხერსონში და ტფილისში (?) თითო თითო; ტომსკის გუბერნიაში 5, გარდაიცვალა 1, ბარნაულის მაზრაში 31, გარდაიცვალა 25, კურგანის მაზრაში რამდენიმე დღის განმავლობაში ავად გახდა 30, გარდაიცვალა 13; ნიჟეგოროდის გუბერნიაში ავად გახდა 1, სენის გაჩენიდან ავად გახდა 500, გარდაიცვალა 245.

**ყაზანი.** უნივერსიტეტი დაიხურა მხოლოდ 29 ოქტომბრამდე.

**პეტერბურგი.** საერო განათლების მინისტრის თავმჯდომარეობით მოხდა თათბირი ბურიატთა სკოლების შესახებ. თათბირში ადგილობრივთა წარმომადგენლებმაც მიიღეს მონაწილეობა.

**სამარკანდი.** ყარადაგიდან კორესპონდენტი დეპეშით იუწყება (27 ოქტომბერს): ყარადაღი განადგურებულია; დაიღუპა ოთხასი კაცი. განადგურდა ყარადაღის გარემემო მდებარე სოფლებიც. ლეკაუსში ათასობით დაიღუპა ხალხი.

29 ოქტომბერი.

**პეტერბურგი.** ხოლერის შესახებ სააგენტომ მიიღო შემდეგი ცნობები: დონის ოლქში 27 ოქტომბერს ავად გახდა 5, გარდაიცვალა 2, ყაზანში ავად გახდა 2, ტროიცკში ავად გახდა 1; ეკატერინოსლავში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 2; კიევში ავად გახდა 7, გარდაიცვალა 3, დარჩა 166 ავადმყოფი. სუჯანის მაზრაში ავად გახდა 5.

**ჩერნიგოვი.** მიწის მომწესრიგებელმა კომისიამ მოქმედების დაწყების დღიდან დაარიგა 23,117 დესეტინა ადგილი.

**ნიკოლაევსკი.** მიწის მომწესრიგებელი კომისია აპირებს საგლეხო ბანკის საშუალებით იყიდოს გრაფ ორლოვ-დავიდოვის მამული, ზომით 3,500 დესეტინა.

**ხოხნოვიცი.** სოფ. ნემცაში მოჰკლეს უფროსი საეროპო დარაჯი.

**სარატოვი.** შეიპყრეს რკინის გზის მუშად ნამყოფი, რომელსაც აბრალებენ ინჟენერ ალექსანდროვის მოკვლას.

**იაროსლავი.** ოლქის სასამართლომ ორს გლეხს მიუსაჯა სხვა და სხვა ვადით კატორგა. იმათ ჰბრალდებოდათ შეიარაღებული თავდასხმა.

**უ ც ხ ო ე თ შ ი.**

28 ოქტომბერი.

**ავინიონი.** წყალ-დიდობაა. ქალაქის დაბლობი ადგილები წყლით დაიფარა. შესწყდა რკინის გზის მიმოსვლა კავალიონსა და აპტის შუა.

**პარიჟი.** მინისტრთა საბჭოს სხდომაზე პიშონმა განაცხადა, რომ შესაძლებელია მაროკოდან კონტრ-ნაღმოსნები და 4 კრეისერი დავიბრუნოთო. რანიემ მაროკოს სულთანისაგან მიიღო საჭირო გარანტია, რომ ალჟირმაროკოს საზღვრებზე მშვიდობიანობა აღდგენილი იქნებაო.

**კამბაბლანკა.** 26 ოქტომბერს დამე თავდება რამაზანის მარხვა, შემდეგ დაიწყება სამი დღით დღესასწაული. იმ დღეებში არავითარი სამხედრო მოქმედება არ შეიძლება.

**ლიონი.** ოტრიკურში გაიფიცა მთა მადნის 700 მუშა.

**ბერლინი.** როგორც როტერდამიდან იუწყებიან, 35 გემზე, რომლებითაც პურს გზიდავიან, გაფიცულან პურის ამწონნი. პოლიციამ და მატროსებმა აიძულეს ისინი, გემებიდან წასულიყვნენ.

**ვენა.** აუერპერგის პრადეს, ფორტას და პაცაკის მინისტრების გადადგომა შეწყნარებულ იქნა. დეპუტატი ფიდლერი დაინიშნა ვაჭრობის მინისტრად, ებენგოფი—მიწათ-მოქმედების გესმანი, პეშკა, და პრაშეკი—უპორთფელოდ.

29 ოქტომბერი.

**სტამბოლი.** პორტამ მაშველი რაზმები გაუგზავნა ფლორინის, პალანკინის და ზინსკის ოლქებში დაბანაკებულ ჯარს. ჯარის გაძლიერება გამოიწვია ელჩების მიერ პორტასადმი მიმართულმა წინადადებამ ელჩებმა პორტას ყურადღება მიაქციეს ბრბოთა მოქმედებას.

**პარიჟი.** აირჩიეს სენატორებად ზემოვინაში—რეიმონი, გაროხნაში—ლეიგი და ბემბალი—რადიკალ სოციალისტები.

**ვიენა.** აირჩიეს სენატორად სერვო, მემარცხენე რესპუბლიკელთა მოძმე.

რედაქტორ-გამომცემელი

ი. ავალიშვილი.


# განცხადებანი

ტფილისის-გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისაგან

სახელმწიფო საბჭოს 1895 წელს 25 მაისს უმაღლესად დამტკიცებულ იმ აზრის თანახმად, რომელიც ეხება ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკიდან ამ ბანკის დამაარსებელთა მიერ შეტანილ ფულის დაბრუნებას, და ფინანსთა მინისტრის მიერ 1900 წელს 8 მაისს დამტკიცებულ წესების მე-7 მუხლის ძალით, გუბერნიის წინამძღოლი აცხადებს, რომ ის პირი, ვის ხელშიაც, გადასაცემ ბარათით, გადავიდა კვიტანცია კნ. ანნა ჩოლოყაშვილის მიერ ზემოდდასახელებულ ბანკის დასაარსებლად შეტანილ ასს სამოცდა ხუთ (165) მანეთის შესახებ, ვალდებულია ამ განცხადების დაბეჭდვიდან ექვსი თვის განმავლობაში წარუდგინოს ეს კვიტანცია ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი პირი სამუდამოდ დაჰკარგავს ამ ფულის მიღების უფლებას. ფული გადაიდება კნ. ანნა ჩოლოყაშვილ ს მემკვიდრეთა სასარგებლოდ. (3—5.—1)

1—2 მან. აიღებს მსურველი დღეში.



საჭიროა თანამშრომელნი ორისავე სქესისა

საქსოვ სამუშაოსთვის ჩვენ მსწრაფლ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს უფასოდ უგზავნით.

**პირველი კავკას. ამხანაგობა**

მსწრაფლ-მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.

ადრესი: Тифлисъ, Верійскій спускъ д 15 и 5. (100—71—77)

# ბაღი და სანერგე ავსარქისოვისა.

იყიდება მეტად ხელმისაწვდენ ფასად საზღვარ-გარეთულ, რუსულ და კავკასიურ ჯიშის ხეხილის ხეები. კატალოგები მსურველს უფასოდ გაეგზავნება.

ადრესი: Скра. Ст. З. Ж. Д. Авсаркисову. (20—359—3)

→ პასუხს ვაგებთ საქონლის სიკარგისათვის! ←



# კალოშებისა

და სხვა რეზინის საქონლისათვის

## უმაღლესი ჯილდო

(GRAHD-PRIX)

პარიზის გამოფენაზე მიესაჯა რუსეთში მხოლოდ „რუსეთ-ამერიკის სარეზინო მანუფაქტურის ამხანაგობას“, რომელიც დაარსდა 1860 წელს.

სთხოვენ მუშტარს რეზინის კალოშების ყიდვის დროს ყურადღება მიაქციოს ზეპირს ძირზე, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვა „ს.-პეტერბურგს“, რომელიც წითლად არის შემოვლებული.

ნარდად საქონლის ვაჭრობა ხდება

სავაჭრო სახლში

## ლეოპოლდ ნეიშელლერი

პეტერბურგსა, მოსკოვსა, რიგასა, ოდესასა, ეკატერინბურგსა

## ტფილისში,

დონის როსტოვსა, ხარკოვსა, ირკუტსკსა, კიევსა და ტაშკენტში.

აქვე ნარდად იყიდება **ფეხსაცმელი** პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა.

იქვეა საწყობი რუსეთისა და საზღვარ-გარეთელ ტყავისა. (100—80)


სტამბა „იდეალი“ (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.